

სალომე ლომოური
(საქართველო)

მეორე მსოფლიო ომის რეფლექსია ქართველ
„პოეტ-ჯარისკაცთა“ ლირიკაში

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) გამოცდილებები და შთაბეჭდილებები ფართოდ აისახა მასში მონაწილე ქვეყნების ლიტერატურაში და დიდი გამოხმაურებაც პოვა. მიუხედავად იმისა, რომ ომის დასრულებიდან თითქმის რვა ათეული წელი გავიდა, ეს თემა ჯერაც აქტუალურია. ომს 25 მილიონი ჯარისკაცი და 55 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა (მათ შორის 11 მილიონი საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა) და, ამგვარად, მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სისხლიან კონფლიქტად იქცა. ბევრი პოეტი თავადაც მონაწილეობდა მასში და ბრძოლის ველზე ნანახსა და განცდილს აღწერდა. თუმცა ომი ფრონტს მიღმა დარჩენილთაც შეეხო. მასზე წერდნენ ისინიც, რომელთაც თავად არ უბრძოლიათ და ზოგიერთი არანაკლები რეალიზმით აღწერდა ფრონტულ ყოფას. მწერალ სტივენ კრეინის „სიმამაცის წითელი ემბლემა“ („The Red Badge of Courage“) ამ თემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო რომანად ითვლება; ავტორმა ის მანამდე დაწერა, ვიდრე ომის კორესპონდენტი გახდებოდა. თუმცა ამგვარი შემთხვევები ბევრია, ინგლისელი მწერალი დ.ჰ. ლოურენსი მაინც მიიჩნევდა, რომ გამოცდილებით მიღებული, ე.წ. „სისხლისმიერი ცოდნა“, იყო მთავარი – განსაკუთრებით, ხელოვნებაში. ბრძოლაში მონაწილეობა პოეტებს შეაძლებინებთ, ფაქტობრივი ცოდნა შინაგანად გაითავისონ, ინსტინქტად გარდაქმნან და, ამგვარად, საკუთარ, სისხლში გამჯდარ, ნაწილად აქციონ (Smith 2003: 839). შესაბამისად, მათი გადმოცემა უფრო სიღრმისეული, გულწრფელი და ემოციურია.

პოსტსაბჭოთა სინამდვილეში კარგად არის ცნობილი მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი საბჭოთა პოეტების შემოქმედება, მაგრამ ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი უცხოელი ავტორების პოეზია. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ბევრი სამუშაოა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. განსაკუთრებით საინტერესოა, ქართველ და უცხოელ ომის ლირიკოს პოეტთა ლექსების კომპარატივისტული ანალიზი, თემატური თუ პოეტიკური თანხვედრა და განსხვავებები.

ვებგვერდ Poetryfoundation.org-ზე პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, გამოქვეყნდა ომში მონაწილე ან ომს შეწირულ პოეტთა სიები: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა რიცხვი 130-ს აღემატება. საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ სამი პოეტია დასახელებული: მირზა გელოვანი, ვლადისლავ ზანადვოროვი (Vladislav Znanévich) და კონსტანტინე სიმონოვი (Konstantin Simonov). ევროპელ და ამერიკელ პოეტთა შორის კი გამორჩეულ ადგილს იკავებენ: კარლ სენდბერგი (Carl Sandburg – 1878-1967), კიტ დუგლასი (Keith Douglas – 1920-1944), კარლ შაპირო (Karl Shapiro – 1913-2000), რობერტ ლოუელი (Robert Lowell – 1917-1977), რენდალ ჯარელი (Randall Jarrell – 1914-1965), ჯონ გილესპი მეგი, უმცროსი (John Gillespie Magee, Jr. – 1922-1941), ალენ ლუისი (Alun Lewis – 1915-1944), უისტენ ჰიუ ოდენი (W. H. Auden – 1907-1973), ლუის სიმპსონი (Louis Simpson – 1923-2012) და სხვ. თავისთავად ცხადია, ყველა მათგანის შემოქმედების განხილვას ერთ წერილში ვერ მოვახერხებთ, ამიტომ ამჯერად რამდენიმე განსაკუთრებით ცნობილი ლექსით შემოვიფარგლებით, მირზა გელოვანის ომის ლირიკის საუკეთესო ნიმუშების ანალიზთან ერთად.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის პოეტებზე დიდი გავლენა იქონია პირველი მსოფლიო ომის შესახებ შექმნილმა ლირიკამ, განსაკუთრებით უილფრედ ოუენის (Wilfred Owen – 1893-1918), რობერტ გრეივზისა (Robert Graves – 1895-1985) და ზიგფრიდ სასუნის (Siegfried Sassoon – 1886 – 1967) პოეზიამ. ასევე, დიდი იყო უილიამ ბატლერ იეიტსის (W. B. Yeats – 1865-1939) გავლენა, თუმცა ამ უკანასკნელის ლექსები პაციფისტური სულისკვეთებით გამოირჩევა.

მეორე მსოფლიო ომის ლირიკა თემატურად მრავალფეროვანია, მაგრამ შესამდებელია, რამდენიმე ძირითადი თემის გამოყოფა. ზოგი პოეტი ომის ტრაგედიასა და უდროოდ დაღუპულ თანამებრძოლებზე წერდა, ზოგი კი ყურადღებას ამახვილებდა ჯარისკაცების სიმამაცესა და თავგანწირვაზე; ამ ტიპის ლექსები ხშირად პატრიოტული პათოსით იყო გამსჭვალული. მწვავედ დადგა ეგზისტენციალიზმის საკითხიც: კითხვები ადამიანის ცხოვრების არსზე, დანიშნულებაზე, ფილოსოფიური ანალიზი, პოეზიაში კვლავ შემოიჭრა. ომმა აიძულა პოეტები, ღირებულებები გადაეფასებინათ და სამყაროსთვის ახალი თვალთ შეეხედათ. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ერთ-ერთი აღიარებული პოეტი – ისააკ როზენბერგი (Isaac Rosenberg), რომელიც 1918 წელს დაიღუპა და ცნობილია თავისი „ლექსებით სანგრებიდან“, წერდა, რომ სამყარო მის გარშემო იშლებოდა, ნადგურდებოდა, ხოლო რობერტ გრეივზმა განაცხადა, რომ წირვას აღარასოდეს დაესწრებოდა. პოეტის რისხვა ახალგაზრდა ღვთისმსახურმა გამოიწვია, რო-

მელიც „ღვთიურ თავგანწირვაზე“ ქადაგებდა. იყვნენ ისეთებიც, ვისაც მი-
აჩნდა, რომ ომში დაღუპვა დიადი მიზნისთვის სიკვდილს ნიშნავდა და
ამგვარი აღსასრული არათუ ტრაგიკული, არამედ სასურველიც იყო. თუმცა
ევროპასა და ამერიკაში გამოიკვეთა კიდევ ერთი ნაკადი – ომის პოლიტიკური
და სოციალური კრიტიკა. თავისთავად ცხადია, ამგვარი პოეზია ბოლშევი-
კურ ქვეყნებში ვერ იარსებებდა, რადგან საბჭოთა კავშირში არავის ჰქონდა
ხელისუფლების გაკრიტიკების უფლება.

უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის კონიუნქტურა პოეტებს უკრძალავდა
ომის შესახებ თავისუფლად წერას და ისინიც, მეტწილად, იძულებულნი
იყვნენ ხელისუფლებისგან მიღებული მითითებების მიხედვით ეწერათ.
საბჭოთა კავშირში „სამამულო ომის“ შესახებ შექმნილ ლექსებში ჭარბობს
ომში გამარჯვებისკენ მოწოდება, სამშობლოს დაცვის მოტივი, მტრის და-
მარცხების აუცილებლობისა და გარდაუვალობის ნარატივი. ბოლშევიკური
მთავრობა პოეტებს ავალდებულებდა, ეწერათ ხალხის გამამხნეველი, საბრ-
ძოლო სულისკვეთების ასამაღლებელი ლექსები. საბჭოთა ლიტერატურაში
ისევ დასაშვები გახდა მანამდე ნაციონალიზმის სახელით აკრძალული პატ-
რიოტიზმი. იმდროინდელ ქართველ პოეტთა უმრავლესობას ერთი ლექსი
მანინჯ აქვს მიძღვნილი სამამულო ომისადმი, რადგან ამ თემაზე წერა
მთავრობის პირდაპირი დაკვეთა იყო.

„1940-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, საბ-
ჭოთა საზოგადოებაში, მათ შორის ქართულში, თავი იჩინა ახალმა ტენ-
დენციამ – პატრიოტიზმის გაღვივებამ: მოხდა საბჭოთა მოქალაქეთა მო-
ბილიზაცია საერთო მტრის, ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ ტენდენციამ საიმე-
დოდ გაამაგრა სტალინური რეჟიმის ფუნდამენტი და ხელი შეუწყო Homo
Sovieticus-ის მოდელის საბოლოო ფორმირებას, თუმცაღა გაძლიერდა პრო-
ტესტის ტალღაც აღნიშნული რეჟიმის მიმართ. შესაბამისად, ე.წ. დიდი
სამამულო ომის წლებში უკვე ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობდა,
ერთი მხრივ, პატრიოტიზმის ნიშნით აღბეჭდილი პროპაგანდისტული ლიტე-
რატურული პროდუქცია, მეორე მხრივ, კი, ანტიტოტალიტარული სულის-
კვეთებით გაჟღენთილი ტექსტები. არსებულ ვითარებაში, ბუნებრივია, გააქ-
ტიურდა რეპრესიების მანქანაც“ (რატინი, ელბაქიძე 2019: 12).

აღსანიშნავია, რომ მოწოდებები ომის თემაზე ლექსების დასაწერად
უცხო არ იყო ევროპისთვისაც. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომისას
ამერიკელ-ბრიტანელმა მწერალმა ჰენრი ჯეიმსმა მეოცე საუკუნის ერთ-ერთ
ყველაზე გავლენიან ირლანდიელ პოეტს – უილიამ ბატლერ იეიტსს სთხო-
ვა, ომის შესახებ პოლიტიკური ლექსი დაეწერა. იეიტსმა მას უპასუხა ცნო-
ბილი ლექსით: „On Being Asked for a War Poem“ („პასუხი ომზე ლექსის

დაწერის თხოვნაზე“), რომელშიც აცხადებდა, რომ სჯობდა, პოეტი გაჩუმებულიყო, რადგან მას არ ჰქონდა პოლიტიკოსის სწორ გზაზე დაყენების ნიჭი. მოგვიანებით იგი მაინც განიხილავს ომის თემას და წერს როგორც პირველ მსოფლიო ომზე, ასევე, ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე. ლექსი „Easter, 1916“ („აღდგომა, 1916“) სწორედ ამ უკანასკნელს ეძღვნება. პოეტი ჩივის, რომ „Too long a sacrifice/ Can make a stone of the heart“ („მეტად ხანგრძლივ თავგანწირვას/ შეუძლია გული ქვად აქციოს“). იგი ასევე საუბრობს არასაჭირო, უაზრო, სიკვდილსა და მეოცნებე ადამიანებზე, რომლებიც დაიხოცნენ და გარდაცვალებასთან ერთად, მათ განცდებსა და ოცნებებსაც თითქოს აზრი დაეკარგა. ფრაზა „A terrible beauty is born“ („შემზარავი სილამაზე იბადება“) – რამდენიმე სტროფის დასასრულს მეორდება და ხაზს უსვამს აჯანყების საშინელ, მაგრამ გარდამქმნელ ძალას (Yeats 1989). პოეტის ომის ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსია: „An Irish Airman Foresees His Death“ („ირლანდიელი მფრინავი განჭვრეტს თავის სიკვდილს“): „I know that I shall meet my fate/ Somewhere among the clouds above;/ Those that I fight I do not hate,/ Those that I guard I do not love...“ („ვიცი, რომ შევხვდები ჩემს ბედისწერას/ სადღაც ღრუბლებში, ზემოთ/ არ მძულის ისინი, ვისაც ვებრძვი/ არც მიყვარს ისინი, ვიცავ ვისაც...“)¹. ლექსის ლირიკული გმირი აცხადებს, რომ ბრძოლისკენ მას რაიმე პოლიტიკური ან რელიგიური მიზეზი კი არ უბიძგებს, არამედ, „ტკბობის/აღტაცების განმარტოებული იმპულსი“. ბრძოლა მისი პიროვნული არჩევანია, მაგრამ, ამავდროულად, აშკარაა, რომ მფრინავისთვის ცხოვრება უფასურია, არც წარსულს და არც მომავალს ღირებულება არ გააჩნია და ამ ორის ზღვარზე მყოფი სიკვდილს თითქოს ამჯობინებს კიდევ. ლექსში წამოჭრილია ომში ჩაკარგული ადამიანების ეგზისტენციალური ძიებებისა თუ კრიზისის, მათი მართოსულობის, სიცოცხლის გაუფასურების პრობლემატიკა.

ცხადია, იეიტსი ერთადერთი არ იყო, ვისაც ომის შესახებ წერას მოუწოდებდნენ. ამასთანავე, რედაქტორები თუ კრიტიკოსები აქტიურად განიხილავდნენ ამ თემაზე შექმნილ თხზულებათა მხატვრულ ღირებულებას. ჰარიეტ მონრო (1860-1936) არათუ მოითხოვდა პოეტთაგან, ეწერათ ომ-ზე, არამედ მათ, გარკვეულწილად, პასუხისმგებლობასაც აკისრებდა ომის რომანტიზებისთვის. 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ომის პოეზია“ მონრო აცხადებს: „რა არის ომის ფუნდამენტური და ფსიქოლოგიური მიზეზი? კაცთა გულეებში არსებული განცდა, რომ ის ლამაზია. და ვინ შექმნა ეს განცდა?“

¹ წერილში მოცემული ლექსთა თარგმანები გამიზნულია მხოლოდ მკითხველისათვის მათი შინაარსის გასაცნობად და არ წარმოადგენს მათ მხატვრულ თარგმანს – ს. ლ.

ნაწილობრივ, მეფეებმა და მათმა „დროშებიანმა არმიებმა“, მაგრამ უფრო მეტად პოეტებმა თავიანთი ომის სიმღერებითა და ეპიკური ქმნილებებით, მოქანდაკეებმა თავიანთი ქანდაკებებით – ხელოვანებმა, რომლებიც მეფეებისგან იღებდნენ ბრძანებებს, ხოლო ბრძოლებიდან შთაგონებას... განცდა, რომ ომი ლამაზია, ჯერაც ბუდობს კაცთა გულებში, მაგრამ ეს განცდა სამყაროსავით ძველ სისასტიკეებს, ველურობას, ეფუძნება – ძალაუფლების, ტანჯვის/ წამების, მკვლელობის სიყვარულს, დიდ თამაშში დიდი ფსონების ჩასვლის სიყვარულს. ეს გრძნობა ისევე უნდა გავანადგუროთ, როგორც შევქმენით – წარმოსახვის მეშვეობით. ეს პოეტის საქმეა“ (Deutsch). მართლაც, ჰარიეტ მონროს ჟურნალში „პოეზია“ წლების განმავლობაში ომის თემაზე დაწერილი არაერთი თხზულება დაიბეჭდა, თუმცა იგი თავადვე აღიარებდა, რომ მათ შორის ნამდვილი შედეგრი არც ისე ბევრი იყო.

შოტლანდიელი კრიტიკოსი დევიდ დეიჩი პოეტებს მონროსავით დიდ პასუხისმგებლობას არ აკისრებდა, მაგრამ თავის ესეში: „პოეტები და ომი“ წერდა, რომ თანამედროვე მწერალი ღირსების შესანარჩუნებლად პროპაგანდისტი უნდა გამხდარიყო. დეიჩის აზრით, პოეტი, რომელიც ომის პერიოდში წერას აგრძელებდა, ეხმარებოდა არსებულ ცივილიზაციას მორალის შენარჩუნებაში, ბრძოლისუნარიანობის გაზრდაში. ამიტომ მას არ უნდა შეშინებოდა, რომ ხელოვნებისაკენ მიბრუნებით თავის ქვეყანას იმედს გაუცრუებდა. პირიქით, იგი ამით თავის მოვალეობას არსულებდა (Deutsch).

თავად პოეტების ნაწილიც მიიჩნევდა, რომ მათი ვალი იყო არა ომის რომანტიზება, არამედ მისი რეალისტური ასახვა. უ. ოუენი წერდა, რომ მისი ლექსების თემაა „ომი და ომის საცოდაობა. პოეზია კი ამ საცოდაობაშია“ (Mounic 2015: 15). ის იდეალისტურ რიტორიკას თავს ანებებს და პერსი შელის გზას ადგება. „პოეზიის დაცვაში“ ოუენი აცხადებს, რომ მან უნდა აირიდოს „უგრძნობლობა“. ეს უკანასკნელი ტოტალიტარული ძალაუფლებისთვის არის დამახასიათებელი და გულისხმობს, რომ ინდივიდუალურ სიცოცხლეს თავისთავადი ღირებულება აღარ აქვს. ის ფუნქციური ხდება და, შესაბამისად, ჯარისკაცის სიკვდილიც ტრაგედია აღარაა, მიზნის მისაღწევად გამართლებული მსხვერპლია. ამის საპირისპიროდ, პოეტმა, როგორც ბრძენმა, ადამიანებში თავისი ლექსებით თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს, ემპათია უნდა აღძრას. ამასთანავე, მან კი არ უნდა ანუგეშოს, არამედ უნდა გააფრთხილოს მკითხველი. თუმცა, ომის სისასტიკე და ტერორი ზოგჯერ ოუენის ლირიკაშიც იჩენს თავს. „მძვინვარე რისხვა ჩანს მის ლექსებში, რისხვა კაცისა, რომელიც არა მხოლოდ ომის საცოდაობის აღწერას ლამობს, არამედ სურს მისი სიმხეცე, შიში და საშინელებაც გადმოსცეს“ (Daiches 1940: 330).

მეორე მსოფლიო ომის დროს რ. გრეივზი წერს „თეთრ ქალღმერთს“, რომელშიც იდეალისტურ ფილოსოფიას სიბრძნეს უპირისპირებს. მისი აზრით, პოეტი პასუხისმგებელი პირია. გრეივზის შეხედულება ერთგვარად ჰგავს ოუენისას, რომელიც არისტოტელეს კათარზისისგან განსხვავებით, პოეზიას გარდამქმნელ ან მაკურნებელ ძალას კი არ ანიჭებდა, არამედ, კომუნიკაციის საშუალებად აღიქვამდა. ოუენისთვის ლექსი, უპირველესად, სუბიექტური ხმა იყო და შემდეგ ესთეტიკური საგანი (Mounic 2015: 15).

თუკი ევროპელი რედაქტორები პოეტებს მოუწოდებდნენ, თავი დაენებებინათ ომის რომანტიზებისთვის და მისი რეალობა აღეწერათ, საბჭოთა კავშირის ჟურნალ-გაზეთებში მსგავსი ნარატივით სავსე წერილები იბეჭდებოდა: „საბრძოლო ლექსით უნდა გამოვიდეს დღეს მწერალი... მან კალამი უნდა შესცვალოს საბრძოლო იარაღით... ყველა საბჭოთა მოქალაქეს უნდა განუვითაროს თავგანწირული პატრიოტისა და უშიშარის მეტროპოლის მაღალი მორალური თვისებები“ („ლიტერატურული საქართველო“, 1941 წლის 10 ივლისი) (ცხადაია 2022: 423). მიუხედავად ასეთი მოწოდებებისა, ან შეიძლება, სწორედ მათ გამო, ომის თემაზე შექმნილ ლექსთა უმეტესობას ძალდატანება ემჩნევა და ის შინაგანი მუხტი და გულწრფელობა აკლია, რაც ნამდვილ პოეზიას ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ პოეტ-ემიგრანტმა გრიგოლ რობაქიძემ 1943 წელს ქართულ ენაზე დაწერა ლექსი: „ქართველი დედის წერილი ომში გაყვანილ შვილისადმი“. თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, რომ ეს თეჯნისის საზომით დაწერილი ლექსი შეიძლება ვაჟა-ფშაველას ლექსთან – „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ – დავაკავშიროთ. საყურადღებოა, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი (ანუ შაირი, როგორც გრ. რობაქიძე ლექსს უწოდებს): „თამარ და ხანჯალი“ მწერალმა თავის ლექსებთან ერთად წაუკითხა ბრანდენბურგში ქართველ ტყვეებს („საუბარი ქარდუსთან“ – გრ. რობაქიძე).

გრ. რობაქიძე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოღვაწე გამოჩენილი პოეტების (მაიაკოვსკი, ბრიუსოვი, მანდელშტამი და სხვ.) ლექსებსაც განიხილავს და აღნიშნავს, რომ ისინი ცივი, მოსაწყენი, მექანიკური და უსულოა. მარტივი რითმებითა და რიტმებით სავსე ამ ლექსებს არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ პოეზიასთან, ლირიკასთან. მათში არა მხოლოდ დათრგუნულობა, ერთგვარი მოშვებულობაც იგრძნობაო. გამონაკლისად იგი მხოლოდ ანა ახმატოვას ლექსებს მიიჩნევს. უფრო მეტიც, რობაქიძის აზრით, თანამედროვე ომი ისეთი გრანდიოზული მოვლენაა, რომ თვით გენიოსი-ტიტანების სისხლმარღვებსაც არ შეუძლია მისი დატევნა, ამიტომ არც ის უკვირს, თუკი დასახელებულმა პოეტებმა ომი ძირეულად, საფუძვლიანად, ბოლომდე ვერ გადახარშეს (რობაქიძე 2021: 472).

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? ჩვენთან ომმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პოეტთა თაობაზე და მათი უმრავლესობა შეიწირა კიდეც. აღსანიშნავია ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა პოეტები: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ლადო სულაბერიძე, რევაზ მარგიანი და სხვ., რომელთა უმეტესობას 30 წლამდე მიღწევაც არ დასცალდა და ლიტერატურის ისტორიაში „მარად ჭაბუკებად დარჩენილთა“ სახელით შევიდნენ. მიუხედავად ამისა, მათი პოეზია ყურადღებას იქცევს ორიგინალური პოეტიკით, თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვით, ახალი სალექსო ფორმებითა და პოეტური სტილისტიკით. 1932-34 წლებში გაბატონებული „სოციალისტური რეალიზმის“ მეთოდის შეზღუდვების მიუხედავად, მათ მოახერხეს, ახალი სიტყვა ეთქვათ ქართულ პოეზიაში და გულწრფელი, ღრმა განცდით ეწერათ; თუმცა მირზა გელოვანი ერთადერთი არ იყო, ვინც ფრონტზე იბრძოდა, მისივე სიტყვები რომ გავიხსენოთ, „სულ მქუხარე ბრძოლებში იმყოფებოდა“ და „სუნთქავდა დენტისა და ტყვიების ბოლს“ (გელოვანი 2009: 492), მაგრამ მისი ომის ლირიკა ქართულ პოეზიაში უდავოდ გამორჩეულია. მ. გელოვანის ლექსებს ცივს და მექანიკურს ვერ ვუწოდებთ. პირიქით, პოეტი ახერხებს მთელი სიმძაფრითა და სიცხადით მოიტანოს მკითხველამდე ომის სისასტიკე. გელოვანის ლექსები არც საბჭოთა მთავრობის კონიუნქტურას ერგება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მისი ფრონტზე გაგზავნა ერთგვარად სადამსჯელო განაჩენს ჰგავდა. გაწვევამდე ცოტა ხნით ადრე პოეტმა „მწერალთა კავშირის“ სხდომაზე გააკრიტიკა იმდროინდელი ქართული პოეზია, რომელიც „სოციალისტური რეალიზმის“ შემოქმედებით მეთოდს ემორჩილებოდა, რაც, თავისთავად, ყოველგვარი ნოვატორობის აღმოფხვრასაც გულისხმობდა: „დღევანდელ ქართულ პოეზიაში გამეფებულია აღწერითი, ხედვითი პოეზია, ზოგჯერ ფოტოგრაფიამდე დასული პოეზია. ლექსი იწყება იმით, რომ ქვა ქვაზე გდია, ხე დგას ქალივით, ყვავილნი ჰყვავიან, წინათ აქ საშინელება იყო და აი, თურმე მზე ამოსულა, ყველაფერი იოლად გაკეთებულა. მწერლებმა, სახოტბო პოეზიასთან ერთად, უნდა ვწეროთ ყოველდღიურ ნაკლოვანებებზე. დიახ, ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ დღევანდელი პოეზია იწყება რომელიმე მომხდარი ფაქტის ხატვით და თავდება სალოზუნგო ხოტბით. ამიტომაც, თითქმის ყველა პოეტი ერთმანეთს ჰგავს. რომელიმე ლექსს პოეტის გვარი რომ მოაცილო, კაცი ვერ გაიგებს, ვისი დაწერილია. თუ ახალგაზრდის ლექსში ოდნავი ორიგინალურობა, ოდნავი გამბედაობა გამოსჭვივის, მას არ ბეჭდავენ“ (გელოვანი 2009: 433).

მირზა გელოვანმა ეს ხვედრი საკუთარ თავზე იწვინა. ომში გაწვევის შემდეგ მისი ლექსები ქართულ პერიოდიკაში აღარ იბეჭდებოდა (1941 წელს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ გამოცემაც შეწყდა). პოეტი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, თავის დას, რუსუდანს, სწერდა: „ნუ თუ არ ეყოთ ჩემს ლექსებს სიმართლე, რომ არც ერთი მათგანი არ დაბეჭდილა აქანობამდის?“ (გელოვანი 2009: 492). შესაძლოა, ფრონტული ლექსების არდაბეჭდვის მიზეზი სწორედ მათი სიმართლე იყო, ის მძიმე რეალობა, რომელსაც პოეტი თვალნათლივ გვიხატავდა. 1940 წელს მირზა გელოვანი კვლავ რუსუდანისადმი მიწერილ ბარათში ამბობს: „აქ (ჯარში) ვისწავლე ადამიანი და ნამდვილი ცხოვრება – მთელი თავისი უფსკრულებით, სილამაზით, გაუგებრობით. აქ ვისწავლე, როგორ ძვირი ღირს მოსიყვარულე გული და როგორ არ ვაფასებთ მათ. აქ დავინახე, როგორ იცვლება ადამიანი გარემოების მიხედვით, როგორც ქამელიონი. აქ განვიცადე ბევრი დამცირება, რამაც უფრო აამაღლა ჩემი ამაყი სული“ (გელოვანი 2009: 475).

მირზა 1944 წელს დაიღუპა, ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინის გადაღახვისას, როცა სულ რაღაც 27 წლის იყო. მისი პოეტური შემოქმედება 11 წელიწადს ითვლის (პირველი ლექსები 1933 წლით თარიღდება). საარქივო კრებულ „დაბრუნებაში“ (2009 წ.) 314 ლექსი და მათი 50-მდე ვარიანტია შესული. ამათგან ომის ლირიკას 36-მდე ლექსი მიეკუთვნება და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არის პოეტის შედეგებიც.

მ. გელოვანის ადრეული პერიოდის ლექსები ვერსიფიკაციული მიზეზებითაა მდიდარი. იგი იყენებს ქართული ლექსწყობისთვის ცნობილ თითქმის ყველა საზომს და იზოსილაზურ ლექსებში საზომთა რიტმულ ვარიაციებს გვთავაზობს. თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, რომ მირზა გელოვანის 30-იანი წლების პოეტურ ტექსტებში უკვე შეინიშნება საგანგებო მიების კვალი სტროფიკის სფეროშიც: გვხვდება სონეტი, მრჩობლელი, აშულური, სამტაეპედებითა და სექსტინით დაწერილი ლექსები (ბარბაქაძე 2017: 68).

„მრავალფეროვანია და მრავალმხრივი მირზას ომამდელი ლექსები. ჭაბუკური გზნებით ატაცებული სტრიქონები, სიცოცხლის, სილამაზის, ბუნების ტრფიალი“ (ცხადაია 2017: 200). პოეტი ცდილობს, რიტმულ-მეტრული ვარიაციები საზრისის მიხედვით შეარჩიოს. მისი ადრეული ლირიკა მზიან-ჩრდილიანია, ერთი მხრივ, ახალგაზრდული მგზნებარებით სავსე, მეორე მხრივ კი – ერთგვარი სევდით გაჟღენთილი, რომელიც ლირიკულ გმირს მუდამ თან სდევს. ამგვარი გაორება მირზას პიროვნებიდან მომდინარეობს. ის თავის თავში ორ „მე“-ს ატარებს – ერთი „მზის პოეტია“, მზის მეგობარი, მეორე კი – შინაგანი ტრაგიზმით დაღდასმული, „მზისაკენ სევდით მყეფარი“.

ომის ლირიკაში ეს გაორება აღარ შეიმჩნევა. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკას შეჭიდებული პოეტი ცხადი, რეალისტური, სურათებით აღგვიწერს ბრძოლის ველს და სამშობლოში დაბრუნებას ნატრობს. იგი, უმეტესად, ომის სისასტიკეზე, უდროოდ და უაზროდ შეწყვეტილ სიცოცხლეთა ტრაგიზმზე გვესაუბრება; მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ იელვებს პატრიოტული პათოსი. მირზა გელოვანი წერს იმაზე, თუ რა ძნელია, შეინარჩუნო ადამიანური ღირსება და სულის სიმაღლე ფრონტზე, როდესაც სიკვდილს გამუდმებით თვალეზში უყურებ და მისი შიში ყოველ ამოსუნთქვას დაჰყვება.

მ. გასპაროვი აღნიშნავს: „ლექსების კითხვისას ჩვენ არასოდეს აღვიქვამთ მხოლოდ იმას, რაც ნათქვამია სიტყვიერად – ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ იმასაც, რასაც გვეუბნება მათი მეტრი, რიტმი, რითმები, სტროფები“ (Гаспаров 2003: 13). ყველა ეს კომპონენტი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს ლექსის მკითხველისეულ აღქმაზე. მირზა გელოვანის ადრეული ლირიკა (1935-1938) მიდრეკილია ჰეტეროსილაბიზმის – სტროფის ფარგლებში ორი ან სამი საზომის მონაცვლეობისკენ და ხშირად ორიგინალურ და მელოდიურ კომპოზიციებს გვთავაზობს. პოეტი მეტრის ცვლილებით ათამაშებს რიტმსა და ინტონაციას და ზოგჯერ მოულოდნელ ეფექტს ქმნის. უფრო მეტიც, იგი წერს ე.წ. „შერეული ტიპის“ ლექსებს. „მეტრული ორგანიზაციის თვალსაზრისით, ეს ნიმუშები, ერთგვარად, შუალედურ მდგომარეობას ასახავს თავისუფალ და კონვენციურ ლექსს შორის“ (ქურთიშვილი 2017: 190); თუმცა მირზას ომში გაწვევის შემდეგ ამგვარი ვერსიფიკაციული ძიებანი მეორე პლანზე ინაცვლებს. 1940 წლიდან 1944 წლის ჩათვლით დაწერილი 36 დათარიღებული ლექსიდან 25 იზოსილაბურია. პოეტი ყველაზე ხშირად სიმეტრიულ 10-მარცვლედს (5/5) იყენებს. მეორე ადგილს ბესიკური 14-მარცვლედი (5/4/5) იკავებს, თუმცა გვხვდება 12-, 9-, 8-, 7-, და 6-მარცვლედებიც, მათგან ზოგი მხოლოდ ჰეტეროსილაბურ ლექსებში. აღსანიშნავია, ორი ვერლიბრი და სონეტი „*** არ არის ძნელი“.

რიტმული პოლიფონიურობა, რაც მირზა გელოვანის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და მდიდრულ ჟღერადობას სძენს მის ლექსებს, ომის ლირიკაში ნაკლებად შესამჩნევია. ეს, ნაწილობრივ, იმის ბრალიცაა, რომ პოეტს ცოტა დრო ჰქონდა ლექსებზე სამუშაოდ. ამას თავადვე აღნიშნავს დის – რუსუდანისადმი გაგზავნილ წერილებში. აქვე უნდა გავიხსენოთ წარმოშობით ებრაელი, რუმინელ-ფრანგი, პოეტი ბენჯამინ ფონდანი (Benjamin Fondane), რომელიც 1944 წელს ოსვენციმში დაიღუპა. იგი წერდა: „პოეზია მხოლოდ ტკივილიანი ამოძახილია, რომელიც ვერ განი-

ფინება იდეალურ ლექსში, რადგან სად მაქვს დრო ლექსის დასასრულელად?“ (Mounic 2015: 16). ჯარში გაწვევის შემდეგ, მირზა გელოვანიც გაცილებით ნაკლებ დროს უთმობს ვერსიფიკაციულ ძიებებს, მაგრამ ეს მის ფრონტულ ლექსებს არ აკნინებს, პირიქით, იზოსილაბური საზომები მათ უფრო მეტად მელოდიურს ხდის. შეიძლება ითქვას, აქ ერთგვარ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე – ჰარმონიული ფორმა უპირისპირდება დის-ჰარმონიულ შინაარსს და შედეგი მართლაც შთამბეჭდავია:

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზაა შორი,
უფრო შორი – გზა ბრძოლის და მწუხარების.
გახსოვს დამე? – გავუძვერით ნაღმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ ყუმბარები.

გახსოვს დნეპრი? – მღვრიე, როგორც გათენება.
დნეპრზე მღვრიე – შემოდგომის მღვრიე ქარი,
დაჩეხილებს თბილისის ცა გვამრთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.

(გელოვანი 2009: 252)

„მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“ 12-მარცვლიანი ტრიმეტრით (4/4/4) არის დაწერილი. რიტორიკული შეკითხვები და გამეორებები ლექსის ექსპრესიულობას აძლიერებს. მეორე სტროფში სამჯერ გამეორებული „მღვრიე“ მოცემული ხატების ფონზე, ბრძოლის ველზე წარმოქმნილი ქოსის ასოციაციასაც ქმნის, მით უფრო, რომ წინა ორ ტაეში ლირიკული გმირი ნაღმებსა და ყუმბარებს ახსენებს, რომლებიც მკითხველის გონებაში აფეთქებასა და კვამლს უკავშირდებიან. სიმბოლურია დნეპრის ხსენებაც – მდინარე მეტაფორულად სიცოცხლეს/ცხოვრებისეულ გზას უკავშირდება და ომის ქარცეცხლში მოყოლილ მებრძოლთა ცხოვრებაც ისეთივე „ამღვრეულია“, როგორც მდინარის ტალღები.

„პოეზია დაკავშირებულია რიტორიკასთან: პოეზია ის ენაა, რომელიც გულისხმობს ენისა და მეტყველების ფიგურათა მრავალფეროვნებას. მისი მიზანი მკითხველის დარწმუნებაა. არისტოტელე ასხვავებდა რიტორიკას პოეტიკისგან. ის ამტკიცებდა, რომ პოეზია საუკეთესო გამოსავალია მკვეთრი ემოციების გამოსახატავად“ (ქალერი 2014: 99). მირზა გელოვანის ომის ლირიკა მდიდარია რიტორიკული ფიგურებითა და ტროპებით და მეტრული სისადავის მიუხედავად, ექსპრესიული და დინამიკურია.

პოეტი მზადაა, სიკვდილს თვალეში ჩახედოს და გმირულად იბრძოდეს, მის ლექსებში ერთგვარი გამოწვევაც კი ისმის – თითქოს მოგვიწოდებს, მისი სიმამაცე გამოვცადოთ, მაგრამ ამგვარი მზადყოფნა ფრონტის საშინელებას ვერ გადაფარავს, ამიტომ ომის რომანტიზების ნაცვლად, იგი შეულამაზებლად გვიხატავს სინამდვილეს – რომ ომი სიკვდილია, სიკვდილის გამუდმებული შიში და სულიერ ღირებულებათა მსხვრევა. ომი პიროვნებებს ანგრევს და მირზა მთელი არსებით ილტვის, რომ ამგვარი ნგრევა თავიდან აიცილოს. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ველზე, სადაც მარადიულ ფასეულობათა ნიველირება ყველაზე მარტივია, პიროვნული ღირსების შენარჩუნება მისთვის გადაამწყვეტი ხდება: „იქ სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ,/ სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში/ მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას,/ რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში“ (გელოვანი 2009: 262).

ბრძოლაში დაცემულ მეგობართა ხვედრით გამოწვეულ ტკივილთან ერთად მირზა გელოვანის ლექსებში ჩანს ერთგვარი ფატალიზმი, სიკვდილის გარდუვალობის შეგრძნებაც. ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ ომი სამუდამოდ ცვლის ადამიანებს:

შენ ნახე, როგორ იწვოდა ზეცა
გაუგონარი მღვრიე დაწვითა
შენ გახსოვს, ტყვია მე როგორ ამცდა
და ამხანაგის გულში გაცივდა.
როგორ დაეცა იგი დაჭრილი
როგორ კაწრავდნენ მიწას თითები
და გაზაფხულის შორი აჩრდილი
როგორ მოჰქონდა დღეს გაფითრებით.
მაგრამ მითხარი, განა გიშველის
რომ შედრკე ახლა სიკვდილის გამო?
რამდენი ნახე შენ ფეხშიშველი
ბავშვი უსახლო და უდედმამო.
შენ მიდიოდა... გზა იყო სისხლის
და ბავშვის თვალეებს უცვლიდა იერს
სიკვდილისაგან შენ ვერრა გიხსნის,
თვითონ სიკვდილი თუ არა სძლიე.
(გელოვანი 2009: 244)

ლექსში „შენ“ ლირიკული გმირი თითქოს მეორე პირს ესაუბრება, მაგრამ, ამავდროულად, ნათელია, რომ იგი საკუთარ თავს მიმართავს. „პო-

ეზია, როგორც მეტყველების ტიპი, ლინგვისტურად მონოლოგურობისაკენ მიისწრაფვის“ (ლოტმანი 2015: 358). მირზა გელოვანის პოეზიას კი, უმეტესად, ჰყავს ადრესატი, რომელსაც ლირიკული გმირი ესაუბრება და ზოგ შემთხვევაში, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ ლექსში, ეს მისივე ალტერ ეგოა. გამეორებები, ანაფორა, ანჟამბემანი და ინვერსია ლექსის პოეტიკურ ქარგას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ლირიკული გმირი ხშირად უმანკო ბავშვს ედარება, რომელიც ომის ქარცეცხლშია მოყოლილი: „და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს/ დამეში გაწვდილთ ცეცხლის ენებად,/... მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის“ (გელოვანი 2009: 262). ომი – დანახული უდანაშაულო ბავშვის თვალებით – კიდევ უფრო შემზარავია. ეს განსაკუთრებით მძაფრად შეიგრძნობა ვერლიბრში „სურათი“:

ბავშვი ეკითხებოდა მამას: – როდის წავალთ სახლში?
ღრუბლები არა ჰგვანდნენ დამურებს, –
ღრუბლებს შეეჭამათ ცა.
და მტირალი ბავშვი, როგორც მოლაღური
ეკითხებოდა ხმას საკუთარს:
როდის წავალთ სახლში?
იმ ღამეს მზის გარდა არაფერს ეძინა.
– გვიშველეთ, გვიშველეთ! – ჰკიოდა გრიგალი.
– გვიშველეთ, ხეებმა შეიბეს ფეხები,
რომ როგორც ჭინკებმა,
იქროლონ ცაში!
– არ გესმით? როგორც ბალახის
ჩურჩული კითხულობს ხმა:
– როდის წავალთ სახლში?

(გელოვანი 2009: 245)

პოეტი თავად არის დაკარგული ბავშვი, რომლის ჩურჩულიც ომის ქარცეცხლში გახვეული სამყაროს ხმაურში იკარგება და არავის ესმის. ომი მხოლოდ ადამიანებს კი არა, ბუნებასაც ანადგურებს, გარშემო ყველაფერს დაღს ასვამს. ბრძოლის ველზე ქაოსი ისადგურებს. სიმბოლურია ისიც, რომ მზეს სძინავს, მთვარე კი არ ჩანს. მნათობები მირზა გელოვანის პოეზიაში ზოგჯერ მეტაფორებია. ამ კონტექსტში მზე ხშირად მის მეგობრად, მფარველად გვევლინება და მისი დამინება ლირიკული გმირისთვის საფრთხის

პირისპირ მართოდ დარჩენის მანიშნებელია. მ. გელოვანი ამგვარად მიგვანიშნებს, რომ მას განსაცდელი ემუქრება.

ლექსში „Carentan, O Carentan“ („კარენტანი, ო, კარენტანი“) ლუის სიმპსონი წერს ომის მიერ განადგურებულ ცხოვრებაზე, აწმყოზე, რომელმაც შესაძლოა, ყოველ წამს სიკვდილი მოიყოლოს და მომავალზე, რომელიც აღარ არსებობს:

In Carentan, O Carentan,	კარენტანში, ო, კარენტანში,
All day long we have marched	მთელი დღე მარშით მივაბიჯებდით
through the unexploded shells	ჩვენი აფეთქებული ოცნებების
Of dreams that exploded.	აუფეთქებელ ჭურვებს შორის.

„ტროპის და, საერთოდ, ხელოვნების ესთეტიური ზემოქმედების ძალა, ესთეტიური ტკობის, ის განზოგადებული, გამაკეთილშობილებელი განცდა, რომელსაც ხელოვნების ქმნილება გვიჩენს, როგორც ჩანს, ძირითადად, ორი სინკრეტულად მოქმედი მომენტიდან მომდინარეობს. ესენია: შემეცნებითი ღირებულება, როგორც ხელოვნების ფაქტორი და წმინდა ხატოვანების ფაქტორი, რომელიც ასოციაციურობიდან და სინესთეტიურობიდან მომდინარე ემოციური კონოტაციების მოქმედების ფსიქოლოგიურ მექანიზმს ემყარება. ექსპრესიული ტროპი, რომელიც ხატოვანების ყველა ფორმას შორის ყველაზე დიდი შემეცნებითი და ამაზე დაყრდნობით, ესთეტიური ღირებულების შემცველი ფორმაა, არის პოეტური პალიტრის ყველაზე ღირებულო ფერი, პოეზიის/ და საერთოდ ხელოვნების/ ფუნქციონალური მიკრო-ასლი. ასეთ ტროპს აქვს გარდასახვის, ქმნადობის დიდი უნარი – დახატოს არა მარტო უბრალოდ სინამდვილე, არამედ პოეტის მიერ მისებურად განცდილი სინამდვილე. ასეთ ტროპს შეუძლია იყოს არა მარტო „სარკე“, თუნდაც რთული, ნაირფერი, მრავალწახნაგოვანი სამყაროსი, არამედ დემიურგი/ შემოქმედი/, რომელიც ქმნის მას თავისი სუბიექტური თვალთახედვით“ (ნათაძე 1988: 246). მირზა გელოვანი ახერხებს, თავისი მხატვრული აღქმა და განცდები მკითხველამდე სწორად შერჩეული ტროპებით მოიტანოს და შექმნას უაღრესად ემოციური, გულშიჩამწვდომი და ზოგჯერ თავისი პირდაპირობით შემზარავი ომის ლირიკა.

„მირზას სრულიად განსხვავებული, „ნამდვილი პოეტის“ (გურამ ასათიანი) ინდივიდუალური ხმა პირადულ განცდად აქცევს ყველაფერს, რასაც მისი მზერა სწვდება. უცდომელი პოეტური გუმანი ფერსა და სახეს უცვლის არა მხოლოდ გარესამყაროში მომხდარ ნებისმიერ მოვლენას, არამედ შინაგან განცდაში გაელვებულ შეგრძნებასა და აღქმას. ეს გუმანი ჩაწურულია და

აშკარად თუ ფარულად ჩნდება მირზა გელოვანის თითქმის ყველა ლექსში“ (ჯოხაძე 2021: 475).

პოეტის ომის ლირიკა თემატურად მრავალფეროვანია. ერთი მხრივ, ის წერს ისეთ ლექსებს, როგორებიცაა: „ჩემს მიწურ ქოხში“, „შენ“, „***იქ, სადაც სხვები..“, „***მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“ და „საზიზღარი დილა“, მეორე მხრივ, გვაქვს სატრფოსა და დედისადმი მიძღვნილი ლექსები: „ნუ მწერ“, „განშორება“, „მელოდე“, „ო, მაპატიეთ“, „დედას“ და სხვ.

ლექსში „გმირობას მისას“ პოეტი დალუპულ თანამებრძოლს აღგვიწერს:

თოვლით დაფარულ ნამკვების ახლოს ის იწვა ერთი
და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს თვალებით თეთრით
არც ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის არ ეგდო სადმე
მხოლოდ შემხმარი მოშაო სისხლი შვენოდა წარბებს.

(გელოვანი 2009: 242)

დიდბესიკური (5/5/5) საზომით დაწერილი ლექსის პირველი სტრიქონი ჰარმონიულ ბუნების სურათს ხატავს, რომელსაც წამიერად ცვლის ტრაგედიის განცდა. უკვე ტაეპის დასასრულს ვხვდებით, რომ რაღაც რიგზე ვერ არის და „თვალები თეთრი“ ამ წინათგრძნობას ადასტურებს. თოვლი მირზა გელოვანის პოეზიაში გაბატონებული მხატვრული სახეა. ის ჯერ კიდევ პოეტის ადრეულ ლირიკაში გვხვდება: „დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,/ თეთრ კარავებს დაემგვანა ატეხილი მთები./ მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით,“ – წერს იგი 1934 წელს (გელოვანი 2009: 24). თოვლი წმინდაა, სპეტაკია და დედამიწასაც ასპეტაკებს, მაგრამ ომის საშინელება მის შელახვასაც ლამობს.

„საზიზღარ დილაში“ ასახულია, თუ გაუსაძლისი პირობები და სიკვდილთან პირისპირ შეჩეხება როგორ აუფასურებს ადამიანურ ღირებულებებს. უფრო მეტიც, ჯარისკაცებს ტანჯვისა და სიკვდილის მიმართ თითქოს ფატალისტური განცდა უჩნდებათ; ბრძოლის ველზე ემპათიის დრო აღარ არის, არც შეჩერებისა და გააზრების, ყველაფერი ინსტინქტების დონეზე დადის:

გვიბრძანეს, მივხოხავთ წინ,
ფრთხილად.

ტყვიები წვიმს.

აფიცვრი გრძელი ულვაშებით

სიტყვას გვეუბნება სამშობლოზე, ვაჟკაცობაზე,

ეხ, ვერაფერს ვშვრებით,

თორემ მოგვბეზრდა ყველა ესენი.

გამლა ნახევარ წრით.

საზიზღარი დილა.

წინ.

ფრთხილად.

ვიღაცას ყუმბარის ნატეხი მოხვდა,

ნაწლავები უჭირავს ხელით.

რა ვუყოთ, მოხდა,

უარესს ველით.

(გელოვანი 2009: 317)

აღსანიშნავია, რომ თუ მირზა გელოვანი უმეტესად ჯარისკაცთა სიკვდილზე, ან მათ ტანჯვაზე ამახვილებს ყურადღებას, კიტ დუგლასი წერს ბრძოლის ჟინზე, რომელსაც გამარჯვების წყურვილიც ასაზრდოებს. ეს უკანასკნელი გამოწვეული უნდა იყოს იმის შეგრძნებით, რომ სიმართლე მის მხარესაა და კეთილშობილური მიზნისთვის იბრძვის. კიტ დუგლასი მეორე მსოფლიო ომში მებრძოლ პოეტთა შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს (ჯეფრი ჰილი, ტედ ჰიუზი და როი ფულერი). კრიტიკოს დესმონდ გრეჰემის აზრით, თავისი თაობიდან მხოლოდ დუგლასმა მოახერხა უიღფრედ ოუენისა და ისააკ როზენბერგის პოეზიის სრულფასოვნად ათვისება და თავისი შემოქმედების მათ მემკვიდრეობაზე დაფუძნება. გრეჰემი კიტ დუგლასს არა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის, არამედ მისი თაობის საუკეთესო ინგლისელ პოეტადაც თვლის და აღნიშნავს, რომ ამ მოსაზრებას ბევრი კრიტიკოსი იზიარებს (Graham).

კიტ დუგლასი თვლიდა, რომ ომი მისი თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და ის ლიტერატურული ასახვის მთავარი საგანი უნდა გამხდარიყო. ამასთანავე, პოეტს მიაჩნდა, რომ მხოლოდ ჯარისკაცს შეეძლო ომზე ავთენტურად წერა. ამიტომ საბრძოლო გამოცდილების მისაღებად ჯარში მოხალისედ ჩაეწერა და მოგვიანებით, ტანკისტიც გახდა. აღსანიშნავია, რომ თავის ომის ლირიკაში კიტ დუგლასმა მუსიკალური, რბილი რიტმები მიატოვა და შინაგანი დისონანსით, ჯანყით, სავსე, არაკეთილხმოვან სტრიქონებზე გადაერთო. იგი მიიჩნევდა, რომ ამგვარი ლექსები უკეთ ასახავდა ხოცვა-ჟლეტას და ბრძოლის ველის საშინელებას. პოეტ ჯონ კლაივ ჰოლისადმი მიწერილ წერილში, რომელსაც დუგლასის პოეტურ მანიფესტადაც მიიჩნევენ, იგი წერს: „ჩემს რიტმებს, რომელთაც შენ სუსტს უწოდებ, ფრთხილად ვარჩევ, რათა ლექსები ისე იკითხებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი სათქმელი/სიტყვა: ვერ ვხედავ მიზეზს, რომ მუ-

სიკალურად, ან მაღალფარდოვნად ვწერო ამჟამინდელ ამბებზე“ (Douglas). ემოციური მეტყველების ნაცვლად, პოეტი შეპირისპირების, ან დამორღუნ-ველი ამბების მსუბუქად, ხელაღებით, გადმოცემის ხერხებს მიმართავს, რის გამოც მას ხშირად „მეტაფიზიკოს“ პოეტ ჯონ დონსაც ადარებენ.

ჯონ დონი (John Donne – 1572-1631) „მეტაფიზიკური პოეზიის“ ფუძემდებლად ითვლება. იგი მიიჩნევდა, რომ „პოეზია არც ფილოსოფიის, არც თეოლოგიის და არც რელიგიის შემცველი არ არის. მას საკუთარი დანიშნულება აქვს, მაგრამ რადგანაც ეს დანიშნულება ემოციურია და არა ინტელექტუალური, შეუძლებელია მისი ადეკვატურად გადმოცემა ინტელექტისმიერი ტერმინოლოგიით“ (კობახიძე 1988: 174).

პოეტი თავის „მეთაე სონეტში“ აღნიშნავს, რომ „სიკვდილი „ბედის, შემთხვევის, მეფეთა და თავგანწირულ კაცთა მონაა“. უფრო მეტიც, სიკვდილი „ამქვეყნიური მოვლენაა, ის სრულიადაც არ არის საზარელი, ან შემაზრუნენი და სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ამა ყოფის ერთ-ერთი გამოვლენა მოძრავ და ქაოტურ, დენად სამყაროში. „სიზმარივით გაივლის ამქვეყნიური არსებობის მოკლე პერიოდი და ადამიანი კი არ მოკვდება, არამედ ჭეშმარიტ სიცოცხლეს – უკვდავებას ეზიარება იმქვეყნად“ (კობახიძე 1988: 183).

ლექსში „How to Kill“ („როგორ მოვკლათ“) კიტ დუგლასი გვიხატავს ჯარისკაცს, რომელიც მოწინააღმდეგეს კლავს. ფრონტზე სიკვდილი ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც გამთენიისას მზის ამოსვლა. თუმცა ლირიკული გმირი ახსენებს მოკლული ჯარისკაცის დედას; ეს სტრიქონი შეგვახსენებს, რომ მტერიც ადამიანია, მასაც ჰყავს ოჯახი, უხარია და სტკივა. მიუხედავად ამისა, მთხრობელი ჯარისკაცის მოკვლის გამო სინდისის ქენჯნას არ განიცდის, რადგან იგი მისი მტერია და სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში საწინააღმდეგო მხარეს დგას; სინანულის ნაცვლად ლირიკულ გმირს ერთგვარი ეიფორია ეუფლება, საკუთარი ძალაუფლების შეგრძნებით გამოწვეული – მას შეუძლია გადაწყვიტოს მოწინააღმდეგის ბედი. ლექსის მეორე ნაწილში მთავარი გმირი ერთგვარად განცალკევებული პოზიციიდან განიხილავს ფრონტზე სიკვდილის ფილოსოფიურ ასპექტებს, სიცოცხლის სწრაფმავლობას და ხორციელი ადამიანის ხვედრს – იქცეს აჩრდილად:

Now in my dial of glass appears
the soldier who is going to die.
He smiles, and moves about in ways
his mother knows, habits of his.
The wires touch his face; I cry

ახლა ჩემს შუშის სამიზნეში ჩნდება
ჯარისკაცი, რომელიც უნდა მოკვდეს
ის იღიმის, და ასრულებს მისი
დედისათვის
ნაცნობ, ჩვეულ მოძრაობებს.

NOW. Death, like a familiar, hears
 and look, has made a man of dust of a
 man of flesh. This sorcery
 I do. Being damned, I am amused
 to see the centre of love diffused and
 the waves of love travel into vacancy.
 How easy it is to make a ghost.
 The weightless mosquito touches
 her tiny shadow on the stone,
 and with how like, how infinite
 a lightness, man and shadow meet.
 They fuse. A shadow is a man when the
 mosquito death approaches.

მავთულხლართები ეხება მის სახეს.
 მე ვყვირი:
 ახლა! სიკვდილს, კარგ ნაცნობს, ესმის
 და შეხედე, აქცევს მტვრის კაცად
 კაცს – ხორციელს. ამ ჯადოქრობას
 მე ვჩადი. მე, დაწყევლილს,
 მახალისებს
 როცა ვხედავ სიყვარულის კერას
 გაცამტვერებულს
 და სიყვარულის ტალღებს არარად
 ქმნილს.
 რა მარტივი ყოფილა აჩრდილის
 შექმნა.
 უწონო კოლო ეხება
 თავის პაწაწინა ჩრდილს ქვაზე
 და როგორი მსგავსი, როგორი
 უსასრულო
 სიმსუბუქით, ხვდებიან კაცი და
 აჩრდილი.
 ისინი ირწყმებიან. კაცი აჩრდილად
 იქცევა
 როცა სიკვდილის კოლო უახლოვდება.

დუგლასისთვის დამახასიათებელია მძაფრი, რეალისტური ასახვის სტილი, ის მხატვრულ სახეებს ეფექტურად იყენებს მკითხველის გონებაში ცხადი, მკვეთრი, სურათების შესაქმნელად. აღსანიშნავია, რომ მის ლექსებში მოდერნიზმი კლასიკურ პოეზიას ერწყმის. აშკარაა, ერთი მხრივ, მე-17 საუკუნის პოეზიისთვის დამახასიათებელი მეტაფიზიკური და რენესანსული სტილის, მეორე მხრივ კი, მოდერნიზმის გავლენა. ომი დუგლასისთვის იდეალური თემაა: სიკვდილის ჩრდილქვეშ ყოველგვარი ადამიანური ნიღბები იშლება და რჩება მხოლოდ სიმართლე, მაგრამ ეს სიმართლე კლავს. „პოეტის ლექსებს თან გასდევს ადამიანის მოკვდაობისა და დროის პარადოქსული ალქმა. დრო ერთდროულად ქურდიც არის და დონორიც, ადამიანი სიკვდილს მუდამ თან დაატარებს (საკუთარ თავშიც)“ (Scannell 1976: 38) სიკვდილი „უკანასკნელი მტერია“, მაგრამ მისი სამუდამოდ დამარცხება შეუძლებელია. კიტ დუგლასს, მირზა გელოვანის მსგავსად, საკუთარი

სიკვდილის წინათგრძნობა მუდმივად თან სდევს და ეს მის ლირიკაშიც აისახება.

ლექსში „Vergissmeinnicht“ დუგლასი ბრძოლის შემდგომ სცენას აღწერს:

Three weeks gone and the combatants	სამი კვირა გავიდა და მებრძოლნი
gone	წასულნი
returning over the nightmare ground	კომმარტა მიწის გავლით
we found the place again, and found	ვბრუნდებით
the soldier sprawling in the sun.	მოვაგნეთ ამ ადგილს კვლავ, და
The frowning barrel of his gun	ვიპოვეთ
overshadowing. As we came on	ჯარისკაცი მზეზე გაშხლართული.
that day, he hit my tank with one	მისი თოფის შემზარავი ლულა
like the entry of a demon.	ჩრდილს ფენს ყველაფერს. როცა ჩვენ
	მოვედით
	იმ დღეს, მან დემონის გამოჩენასავით
	მოულოდნელად
	განგმირა ჩემი ტანკი.

ჯარისკაცს თოფისწამლით შემურული სატრფოს სურათი აქვს ზედ და ის ფაქტი, რომ თავად მკვდარია, მისი თოფი კი ახალივით გამოიყურება, პოეტს ირონიულად ეჩვენება. დუგლასი ჯარისკაცის გვამის გრაფიკულ სურათს გვიხატავს:

But she would weep to see today	მაგრამ სატრფო იტირებდა, რომ ენახა
how on his skin the swart flies move;	დღეს
the dust upon the paper eye	მის კანზე ბუზთა შავი გუნდის რიალი;
and the burst stomach like a cave.	მტვერი მის ქაღალდისებრ თვალზე ¹
For here the lover and killer are	და გადამსკდარი მუცელი, მღვიმის
mingled	მსგავსი.
who had one body and one heart.	აქ საყვარელი და მკვლელი აღრეულან
And death who had the soldier singled	მასში,
has done the lover mortal hurt.	ვისაც ჰქონდა ერთი სხეული და ერთი
	გული.
	და სიკვდილმა, რომელმაც ეს
	ჯარისკაცი მარტოხელად აქცია
	მის საყვარელს მომაკვდინებლად
	ატკინა გული.

¹ Paper eye – ასევე ნიშნავს ფიქტიურს, სუსტს, ყალბს.

ლექსის ბოლოს პოეტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ საყვარელს გლოვობენ, მკვლელს კი არა, მაგრამ როცა საყვარელი მკვლელი ხდება, ეს ზღვარი ირღვევა.

ტომას ელიოტის აზრით, რომელიც ასევე ჯონ დონის გავლენას განიცდის, „ჭეშმარიტი პოეზია ინტელექტუალური საწყისის „ემოციური ეკვივალენტის“ შექმნას გულისხმობს: „მოაზროვნე პოეტი უბრალოდ აზრის ემოციური ეკვივალენტის გამოხატველი პოეტია. როგორც წესი, პოეტი ინტელექტუალურ სისტემას ფილოსოფიიდან სესხულობს და საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, ე.ი. ემოციურ სისტემად აქცევს მას. პოეზია აქედან გამომდინარე, ემოციით შეფერადებული აზრი კი არ არის, არამედ ემოციად ქცეული აზრია“ (კობახიძე 1988: 173). ეს მოსაზრება კარგად გამოხატავს კიტ დუგლასის ლექსების არსს. ისინი მხოლოდ ემოციას კი არ გადმოგვცემენ, ეგზისტენციალურ კითხვებსაც სვამენ, რომლებზე პასუხებსაც პოეტი მუდმივად ეძიებს.

აღსანიშნავია, რომ მირზა გელოვანის ლექსებში მტრის მოკვლით გამოწვეული ეიფორიის ან კმაყოფილების განცდას ვერ ვხვდებით: ომი მისთვის ცალსახად ბოროტებაა. ჯარისკაცებიც, რომელთა ბედსაც აღგვიწერს, მარტივად შეიძლება მოწინააღმდეგე ბანაკიდან იყვნენ. უფრო მეტიც, მ. გელოვანი ლექსებში მტერს პირდაპირ იშვიათად ახსენებს. ლექსი „მთაწმინდიდან სმოლენსკამდე“ ერთ-ერთი გამონაკლისია. მიუხედავად იმისა, რომ „საზიზღარ დილაში“ პოეტი გვიყვება, თუ ომის რეალობა როგორ აუფასურებს პატრიოტულ დიდაქტიკას, მის ლექსებში მაინც არ ისახება იეიტის ლირიკული გმირის (მფრინავის) მსგავსი ეგზისტენციალური კრიზისი. მართალია, აწმყო უფასურია, მაგრამ მირზა გელოვანისთვის ეს წარსულსა და შესაძლო მომავალს ღირებულებას არ უკარგავს.

სასტიკ რეალობას შეჩეხებულ პოეტს სიყვარულზე, სატრფოზე ფიქრი და სამშობლოში დაბრუნების იმედი აძლებინებს – ეს არის მისთვის ერთადერთი ნათელი წერტილი გარემომცველ ჯოჯოხეთში. ლირიკული გმირი ხვდება, რომ სატრფო ბოლომდე ვერ გააცნობიერებს, თუ რისი გადატანა უწევს: „ო, რა თქმა უნდა, შენმა ოცნებამ/ არ შეუძლია წარმოიდგინოს –/ მაქვს მინდიასებრ ბრძენის მოთმენა,/ სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი“ (გელოვანი 2009: 239), მაგრამ იმედი აქვს, რომ სამშობლოში დაბრუნებული შეძლებს ამ განცდათა უკან მოტოვებას და სიცოცხლის გაგრძელებას.

მირზა გელოვანის ომის ლირიკა დიქტომიურია – ერთდროულად ფაქიზი და შემზარავი, იმედითა და სასოწარკვეთილებით სავსე. „ცასავით სუფთა და ცაზე ვრცელი გულის პატრონი“ პოეტის ლექსებში ჩანს სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და შეუდრეკელი სიმამაცე.

ბრძოლის ველზე განცდილ საშინელებათა მიუხედავად, მ. გელოვანი არ კარგავს მისთვის დამახასიათებელ ფაქიზ მსოფლალქმას, რაც მის პოეზიას სხვათაგან გამოარჩევს. ლექსში „მელოდე“ პოეტი კვლავ სატრფოს მიმართავს:

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, –
შენი ლამაზი გული მელოდეს.

....და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, –
შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს.

(გელოვანი 2009: 243)

ზოგ ლექსში ფრონტულ ყოფას წარსულის ბედნიერ დღეთა მოგონებები უპირისპირდება: „სახეში გვათოვს, მტერი არა სჩანს/ სიკვდილის ნატვრა გამიხდა დარდად./ ვდგევარ სხვებივით, სველი ფარაჯა/ არაფერს მამღლევს სიცივის გარდა/ რა სასტიკია, რა სატირელი/ სხვის ქვეყანაში თოვლი პირველი“ – წერს პოეტი და მომდევნო სტროფში დახატული იდილიური სურათი აწმყოს კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის: „მე ვხედავ თოვლზე დაყრილ ნაფოტებს/ მეზობლის ბიჭი მარხილს ამზადებს/ გუზგუზებს, ოხრავს ჩვენი ბუხარი/ ჩემს დაკარგვაზე დედა მწუხარებს/ ცხოვრება მაინც ჰვეთქს ძველებურად“ (გელოვანი 2009: 266).

მირზა გელოვანის ომის ლირიკას სტილისტიკური და სემანტიკური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. ი. ლოტმანი აღნიშნავს, რომ „პროზის სიუჟეტებთან შედარებით, პოეტური სიუჟეტები გამოიჩევა განზოგადების გაცილებით მაღალი დონით. პოეტური სიუჟეტი არ მიისწრაფვის, მოგვითხროს ერთი რომელიმე ჩვეულებრივი ამბავი; მან უნდა გადმოგვცეს მთავარი და ერთადერთი **მოვლენა**, ლირიკული სამყაროს არსი“ (ლოტმანი 2015: 351). მ. გელოვანის ომის ლირიკის ზოგიერთ ლექსს სწორედ ამგვარი განზოგადებული სიუჟეტი აქვს. პოეტი ახერხებს, რამდენიმე სტრიქონში ჩაატოს მთელი ისტორია – პიროვნების შინაგანი ბრძოლის, სიყვარულის, იმედის, თანაგრძნობის, სასოწარკვეთის, მონატრების, სიმამაცისა და შეუდრეკელობის.

სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნების მიუხედავად, კიბ დუგლასივით, მირზა გელოვანსაც არ ტოვებს სიკვდილის გარდუვალობის განცდა. სატრფოსადმი მიძღვნილ ლექსებში იგი დაჟინებით იმეორებს, რომ დაბრუნ-

დება, მაგრამ ეს დაპირება ზოგჯერ საკუთარი თავის დარწმუნების მცდელობას ემსგავსება: „მე გპირდებოდით რომ დავბრუნდები/ რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ/ მაგრამ დღეები, როგორც ქურდები/ ჩემს შეპირებას ანადგურებენ. / და სადმე ტყვია თუ გააციებს/ გულს საშინელი განადგურებით,/ თქვენ მაპატიეთ, ჰო მაპატიეთ,/ დანაშაული არდაბრუნების“ (გელოვანი 2009: 246).

1943 წელს ლექსში „მეგობარ პოეტს“ (გ.ძ.-ს) იგი წერს:

ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს.
და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
არ შორდებოდა ძალ-ღონე მიხდილს,
ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში გზაგანიდა სიკვდილს,
ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში,
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს...

(გელოვანი 2009: 250)

სიკვდილი მტერს და მოყვარეს არ არჩევს და გადარჩენისთვის გამუდმებული ბრძოლა მომქანცველია. ზოგჯერ მისი მოლოდინი იმდენად გაუსაძლისი ხდება, რომ პოეტის ათქმევინებს:

თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი,
სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა.
მგონია, მოხვალ, შენ მოხვალ ერთი
და თოვლის სპეტაკ კუბოს მოიტან.
დამმარხე თოვლში. დამმარხე ქარში,
თორემ მომზეზრდა მიწა ბოროტი.
იჩქარე, ვიდრე თოვლივით წავშლი
შენზე ფიქრებს და შენზედ მოლოდინს.

(გელოვანი 2009: 268)

მირზა გელოვანის პოეტური შემოქმედების გზა იოლი არ ყოფილა, მაგრამ მან შეძლო, ბოლომდე შეენარჩუნებინა გულწრფელობა და სულიერი სისპეტაკე. დონალდ რეიფილდი თავის წიგნში – „The Literature of Georgia: A History“ („საქართველოს ლიტერატურა: ისტორია“) წერდა, რომ მ. გელოვანს ჰქონდა უნარი, გასცდენოდა პატრიოტულ ჰეროიზმს და ომის საშინელება გულუბრყვილო სიხარულით განემსჭვალა (Rayfield). მისი ფრონტული ლექსები, მართლაც, ომის ტრაგედიასთან ერთად, ცხოვრების სილამაზესაც აღწერს. საყვარელი ქალის სახე პოეტს მუდამ თან სდევს და ასულდგმულებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ფრონტზე და ჯარისკაცის ხვედრზე უამრავი პოეტი წერდა, მაგრამ ომის ლირიკაში ნაკლებად გვხვდება ლექსები, რომლებიც შინ დარჩენილი ქალების განცდებას ასახავს. სწორედ ამგვარი ნიმუშია 1928 წლით დათარიღებული ჯესი სენტ-ჯონის (Jessie St. John) „ომის პატარძალი“ („A War Bride“). ეს სამსტროფიანი მოდერნისტული ლექსი ომის ლირიკის ერთ-ერთი შედეგრად ითვლება და სახლში მარტოდ დარჩენილი ცოლის ცხოვრებას აღწერს:

What shall I do today	რა გავაკეთო დღეს
To use the hours up?	რომ გავიყვანო ეს საათები?
It takes so short a time	ისე ცოტა დრო სჭირდება
To wash a plate and cup.	თეფშის და ჭიქის გარეცხვას.
A neighbor might run in	იქნებ მეზობელმა შემოირბინოს
To pass the time of day –	რომ ერთად გავიყვანოთ დრო –
But after that was said	მაგრამ ესეც რომ ითქვა
What would there be to say?	რაღა დარჩა სათქმელი?
I could go out to walk	შემეძლო სასეირნოდ წავსულიყავი
Like any foolish bride –	როგორც ნებისმიერი სულელი
But what if the dog he loved	პატარძალი
Ran searching at my side?	მაგრამ ვაითუ ძაღლმა მას ¹ რომ უყვარდა
(St. John)	ჩემთან მოირბინოს მის ძებნაში?

როგორც ვხედავთ, ლექსი ლირიკული გმირის მონოლოგია, სავსე უპასუხო კითხვებით, გამეორებებით (“today” – “day,” “said” – “say,” “run” – “ran”), რომლებიც პერსონაჟის ცხოვრების მოსაწყენ ერთფეროვნებაზე მიგვაწიშნებს. ლექსის საზომიც კი ერთ, საათივით აწყობილ, რიტმს ემორჩილება.

¹ ქმარს – ს.ლ.

მონოტონური ცხოვრებისგან თავის დაღწევის იმედიც არ ჩანს, თითქოს დრო გაყინულა ან წრეზე ტრიალებს. ქალის ქმარი მხოლოდ ბოლო სტროფშია ნახსენები და ისიც გაკვრით, ძალთან მიმართებით. ეს ლექსი საინტერესოა იმიტომაც, რომ როცა მამაკაცები ფრონტზე იბრძოდნენ, შინ დარჩენილ ქალებს მძაფრი შინაგანი ბრძოლის გადატანა უწევდათ – ისინი ყოველდღე ებრძოდნენ მამების, ძმების, ქმრების არდაბრუნების შიშს, რაც არანაკლებ მომქანცველი, გამომფიტავი და დამანგრეველი იყო.

ომის ლირიკაში ასევე გამორჩეულ ადგილს იკავებს ალან სიგერის (Alan Seeger) ცნობილი ლექსი „მე მაქვს პაემანი სიკვდილთან“ („I Have a Rendezvous with Death“):

I have a rendezvous with Death
At some disputed barricade,
When Spring comes back with
rustling shade
And apple-blossoms fill the air –
I have a rendezvous with Death
When Spring brings back blue days
and fair¹.
It may be he shall take my hand
And lead me into his dark land
And close my eyes and quench my
breath –
It may be I shall pass him still.
I have a rendezvous with Death
On some scarred slope of battered hill,
When Spring comes round again this
year
And the first meadow-flowers appear.
God knows 'twere better to be deep
Pillowed in silk and scented down,
Where Love throbs out in blissful
sleep,

მე მაქვს პაემანი სიკვდილთან
რომელიღაც სადავო ბარიკადთან
როცა გაზაფხული დაბრუნდება
მოშრიალე ჩრდილებით
და ვაშლის ყვავილები აავსებს ჰაერს –
მე მაქვს პაემანი სიკვდილთან
როცა გაზაფხული დაბრუნებს
ლაჟვარდ დღეებს და თავყრილობებს.
შესაძლოა მან მომკიდოს ხელი
და წამიდღვეს თავის ბნელი მიწისაკენ
და დამიხუჭოს თვალები და
შემიჩეროს სუნთქვა –
ან შესაძლოა, მას კვლავაც ავცდე.
მე მაქვს პაემანი სიკვდილთან
რომელიღაც ნაფლეთი გორის ნაიარევ
ფერდზე,
როცა გაზაფხული კვლავ მოვა ამ წელს
და მინდვრის პირველი ყვავილებიც
გამოჩნდებიან.
ღმერთმა იცის, უკეთესი იქნებოდა
ჩავფლულიყავ

¹ Fair – სოფლის თავყრილობები, როდესაც იმართება ბაზრობა და ხალხი ვაჭრობასთან ერთად ერთობა სხვადასხვა აქტივობით, ერთგვარი დღესასწაული.

Pulse nigh to pulse, and breath to	სურნელოვან აბრეშუმის ბალიშებში,
breath,	სადაც სიყვარული თრთის ტკბილ
Where hushed awakenings are dear	ბილისას,
...	გულისცემა გულისცემას, სუნთქვა კი
But I've a rendezvous with Death	სუნთქვას ერთვის,
At midnight in some flaming town,	სადაც მშვიდი გამოღვიძებები
When Spring trips north again this	მვირფასია...
year,	მაგრამ მე პაემანი მაქვს სიკვდილთან
And I to my pledged word am true,	შუღამისას, რომელიდაც აალებულ
I shall not fail that rendezvous.	ქალაქში,
(Seeger)	როცა გაზაფხული კვლავ
	ჩრდილოეთისკენ გაემართება წელს,
	და მე დაპირებას ვუერთგულვებ,
	არ ავარიდებ თავს ამ პაემანს.

გაზაფხული განახლების, ახალი სიცოცხლის, დაბადების სიმბოლოა, თუმცა სიგერის ლექსში მას საპირისპირო დატვირთვა აქვს – ვაშლის ყვავილების კვალდაკვალ სიკვდილი მოდის. პოეტი ფილოსოფიურადაა განწყობილი: იქნებ კიდევაც ასცდეს საბედისწერო ხვედრი, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, იგი მას მამაცად შეეგებება.

მირზა გელოვანს გაზაფხული თბილისს, მთაწმინდას და სამშობლოში გატარებულ ბედნიერ წუთებს ახსენებს: „ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,/ რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,/ რომ საქართველო ამ გაზაფხულში,/ როგორც ყოველთვის წააგავს ხვითოს“; თუმცა მის ლექსსაც თან სდევს სიკვდილის აჩრდილი („და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს...“).

მ. გელოვანის პოეზია უაღრესად ფაქიზი, ღრმა და მდიდარია, პოეტური ძიებებითა და ორიგინალური მხატვრული სახეებით სავსე. მისი ლექსები ვერისფიკაციულ ძიებებთან ერთად: ალიტერაციით, რითმებითა და რიტორიკული ფიგურების სიუხვითაც იქცევა ყურადღებას. როგორც ვნახეთ, მისი ომის ლირიკა ნაწილობრივ ეხმიანება ევროპელ და ამერიკელ პოეტთა შემოქმედებას, მაგრამ, ამავედროულად, ინდივიდუალური ხელწერა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ომის პოეტთა უმეტესობა ახალგაზრდა გარდაიცვალა და ვერ მოასწრო შემოქმედების მწვერვალზე ასვლა, მათი ლირიკა ემოციური, შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით გამოირჩევა. მათი სათქმელიც მკითხველს არათუ გულგრილს ტოვებს, არამედ, სულის სიდ-

რმემდე ატანს და ზოგჯერ ზაფრავს კიდევ. სიმბოლურად ჟღერს მირზა გელოვანის სიტყვები:

გაზზარულ სხივებს – ამართულ ხელებს,
საღამოს, დღეში – თრთოლვას, ძიებას,
ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს
ჩემი ლექსები – ვით პატიება!
(გელოვანი 2009: 267)

ეს სტროფი დაღუპული თაობის მანიფესტადაც გამოდგება – თაობის, რომელიც ალბათ გაცილებით მეტს მიაღწევდა, რომ არა ომის სისასტიკე და უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე.

დამოწმებანი:

- Barbakadze, T. “Mirza Gelovanis “Dabrunebuli” Sonet’ebi da Skhva Leksebi”. *Leksmtsodneoba*, IX. Tbilisi: “lit’erat’uris inst’it’ut’is gamomtsemloba”, 2017 (ბარბაკაძე, თ. „მირზა გელოვანის „დაბრუნებული“ სონეტები და სხვა ლექსები“. *ლექსმცოდნეობა*, IX. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017).
- Daiches, D. “Poetry in the First World War”. *Poetry*, Vol. 56, No. 6 (Sep., 1940), pp. 323-332 (10 pages). <https://www.jstor.org/stable/20582263>
- Deutsch, A. “100 Years of Poetry: The Magazine and War” – <https://www.poetryfoundation.org/articles/69902/100-years-of-poetry-the-magazine-and-war>
- Gasparov, M. L. *Oчерk Istorii Evropeiskogo Stikha*. Moskva: “fortuna limited”, 2003 (Гаспаров, М. Л. *Очерк истории европейского стиха*. Москва: „фортуна лимитед“, 2003).
- Gelovani, Mirza. *Dabruneba*. Saarkivo Gamotsema. Tbilisi: gamomtsemloba “erovnulli mts’erloba”, 2009 (გელოვანი, მირზა. *დაბრუნება*. საარქივო გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, 2009).
- Graham, Desmond. Keith Douglas. <https://www.poetryfoundation.org/poets/keith-douglas>
- Jokhadze, Mak’a. “Mirza Gelovani”, *XX sauk’unis Kartuli Lit’erat’ura*. Nats’ili III. Tbilisi: “Tsu’s gamomtsemloba”, 2021 (ჯოხაძე, მაკა. „მირზა გელოვანი“, *XX საუკუნის ქართული ლიტერატურა*, ნაწილი III, თბილისი: „თსუ-ს გამომცემლობა“, 2021).
- Kaleri, Jonatani. *Lit’erat’uris Teoria, Dzalian Mok’le Shesavali*. Tbilisi: “Tsu gamomtsemloba”, 2014 (ქალერი, ჯონათანი. ლიტერატურის თეორია, ძალიან მოკლე შესავალი. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 2014).
- K’obakhidze, Temuri. “Jon Doni da T’.S. Eliot’i: Msoplmkhedvelobrivi Siakhlove Rogorts T’raditsiis Sapudzveli”. *Dasavlet Evrop’is Lit’erat’ura (XX sauk’une) / Lit’erat’uris Ist’oria. P’oet’ik’a. Urtiertobani*. Tbilisi: Tbilisis universit’et’is gamomcemloba, 1988 (კობახიძე, თემური. „ჯონ დონი და ტ.ს. ელიოტი: მსოფლმხედველობრივი სიახლოვე რო-

- გორც ტრადიციის საფუძველი“. *დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე) / ლიტერატურის ისტორია. პოეტიკა. ურთიერთობანი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988).
- Kurtishvili, Shorena. “Mirza Gelovanis Lirik’is Salekso Sazomebi”, *Leksmcodneoba IX*. Tbilisi: “Lit’erat’uris inst’it’ut’is gamomtsemloba”, 2017 (ქურთიშვილი, შორენა. „მირზა გელოვანის ლირიკის სალექსო საზომები“, *ლექსმცოდნეობა IX*. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017).
- Lot’mani, Iuri. “P’oet’uri Kmnilabis Leksik’ur Doneze”. *Lit’erat’uris Teoriis Krest’omatia*. T. III. Tbilisi: „GGLAPress“, 2015 (ლოტმანი, იური. „პოეტური ქმნილების ლექსიკურ დონზე“. *ლიტერატურის თეორიის კრესტომათია*. ტ. III. თბილისი: „GGLAPress“, 2015).
- Mounic, Anne. “To tell and be told”: war poetry as the “transmission of sympathy.” *Dans Études anglaises 2015/1* (Vol. 68), pages 70 à 83 – <https://www.cairn.info/revue-etudes-anglaises-2015-1-page-70.htm>
- Natadze, Maia da Natadze Giorgi. “Ra aris T’rop’i da Rogor Aisakheba Mis Tsvlashi Ep’okebis Svla”. *Dasavlet Evrop’is Lit’erat’ura (XX sauk’une)*. *Lit’erat’uris Ist’oria. P’oet’ik’a. Urti-ertobani*. Tbilisi: Tbilisis universit’et’is gamomtsemloba, 1988. (ნათაძე, მაია და ნათაძე, გიორგი. „რა არის ტროპი და როგორ აისახება მის ცვლაში ეპოქების სვლა“. *დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე)*. *ლიტერატურის ისტორია. პოეტიკა. ურთიერთობანი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988).
- Rat’iani, Irma da Elbakidze Mak’a. “Homo Sovieticus-is P’olit’ik’uri Modeli da Kartuli Natsionaluri Idea”. *Bolshevizmi da Kartuli Lit’erat’ura / Meore Msoplio Omis Dats’q’ebidan Sk’k’p’ Me-20 Q’rilobamde (1941-1956 ts’ts’)*. Tbilisi: “mts’ignobari”, 2019 (რატიანი, ირმა და ელბაკიძე მაკა. „Homo Sovieticus-ის პოლიტიკური მოდელი და ქართული ნაციონალური იდეა.“ *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ)*. თბილისი: „მწიგნობარი“, 2019).
- Rayfield, Donald. Mirza Gelovani. <https://www.poetryfoundation.org/poets/mirza-gelovani>
- Robakirze, Grigol. Ts’igni II. Tbilisi: gamomtsemloba “lit’erat’uris muzeumi”, 2012 (რობაკიძე გრიგოლ. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მუზეუმი“, 2012).
- Scannell, Vernon. “Not Without Glory: The Poets of the Second World War”, RoutledgeFlamer, 1976.
<https://books.google.ge/books?id=mUzYAQAAQBAJ&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
- Smith, Ron. “War and Poets”, *The Georgia Review*, Vol. 57, No. 4 (WINTER 2003), pp. 839-848 (10 pages) – <https://www.jstor.org/stable/41402371>
- Tskhadaia, Zoia. “Mirza Gelovanis Poet’uri Sakheebi da Ideologiu-p’rop’agandist’uli K’rit’ik’a”. *Leksmtsodneoba, IX*. Tbilisi: “Lit’erat’uris inst’it’ut’is gamomtsemloba”, 2017 (ცხადაია, ზოია. „მირზა გელოვანის პოეტური სახეები და იდეოლოგიურ პროპაგანდისტული კრიტიკა.“ *ლექსმცოდნეობა IX*. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2017).

Tskhadaia, Zoia. "Zhurnali "Chveni Taoba". *XX Sauk'unis Kartuli Lit'erat'ura. III Nats'ili*. Tbilisi: "Tsu gamomtsemloba", 2022 (ცხადაია, ზოია. „ჟურნალი „ჩვენი თაობა“. *XX საუკუნის ქართული ლიტერატურა*. III ნაწილი. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 2022).

Yeats, William Butler. Biography and poems. <https://www.poetryfoundation.org/poets/william-butler-yeats>

Salome Lomouri
(Georgia)

Reflection of World War II in the Lyrics of Georgian “Poet-Soldiers”

Summary

Keywords: World War II poetry, Mirza Gelovani, Georgian War poetry, Keith Douglas, Poet-soldiers.

The experiences and impressions of World War II (1939-1945) have been extensively reflected in the literature of the participating countries and have garnered significant attention. Almost eight decades have passed since the end of the war, yet this topic remains profoundly relevant. The war claimed the lives of 25 million soldiers and 55 million civilians, including 11 million who perished in concentration camps, making it the bloodiest conflict in world history. Many poets actively participated in the war, vividly describing what they witnessed and felt on the battlefield. However, the war's impact extended beyond the front lines, inspiring those who did not directly engage in combat to write about its realities with no less realism.

In post-Soviet countries, the works of Soviet poets dedicated to World War II are widely recognized, yet the poetry of foreign authors has been less accessible to Georgian readers. A comparative analysis of Georgian and foreign war poets, examining thematic and poetic correlations and differences, is particularly interesting.

Poetryfoundation.org marked the centenary of World War I by publishing lists of poets who participated in or died during the wars. The list includes over 130

participants in World War II, with only three poets from the Soviet Union: Mirza Gelovani, Vladislav Znanadkorov, and Konstantin Simonov. Among European and American poets are Carl Sandburg (1878-1967), Keith Douglas (1920-1944), Karl Shapiro (1913-2000), Robert Lowell (1917-1977), Randall Jarrell (1914-1965), W.H. Auden (1907-1973), and others. This article focuses on a selection of renowned poems, alongside an analysis of the best examples from Mirza Gelovani's war lyrics.

The poetry of World War II was heavily influenced by the works of World War I poets such as Wilfred Owen (1893-1918), Robert Graves (1895-1985), and Siegfried Sassoon (1886-1967). W.B. Yeats (1865-1939) also left a significant impact, although his poems tended towards a more pacifist spirit.

The poetry of World War II is thematically diverse, but it is possible to distinguish several main themes. Some poets wrote about the tragedy of war and comrades who died prematurely, while others focused on the bravery and soldiers' self-sacrifice; these types of poems were often imbued with patriotic pathos. The question of existentialism also arose sharply: questions about the meaning of human life, purpose, and philosophical analysis reappeared in poetry. The war forced poets to reevaluate values and see the world with new eyes. For example, Isaac Rosenberg, a recognized poet who participated in World War I and died in 1918, known for his "Poems from the Trenches," wrote that the world around him was collapsing and being destroyed. Robert Graves declared that he would never attend a service again, provoked by the young clergyman who preached about "divine sacrifice." There were also those who believed that dying in the war meant dying for a great cause, and such an end was not tragic but desirable. However, another trend emerged in Europe and America: the political and social criticism of the war. Naturally, such poetry could not exist in Bolshevik countries, as no one had the right to criticize the authorities in the Soviet Union.

Moreover, the Soviet Union's political environment prohibited poets from writing freely about the war, and they were mostly forced to write according to the directives received from the authorities. In the Soviet Union, poems about the "Great Patriotic War" predominantly called for victory in the war, emphasized the motive of defending the homeland, and narrated the necessity and inevitability of defeating the enemy. The Bolshevik government mandated that poets write poems to encourage the people and boost their fighting spirit. In Soviet literature, patriotism, previously banned under the guise of nationalism, became permissible again. Most Georgian poets of that time dedicated at least one poem to the Great Patriotic War, as writing on this topic was mandated by the government.

It is noteworthy that calls to write poems about the war were not unfamiliar to Europe either. Harriet Monroe (1860-1936) believed that the romantic image of war was created by poets and that they should be the ones to dismantle it. Her magazine "Poetry" published numerous works on the war theme over the years.

While European editors urged poets to abandon the romanticism of war and describe its reality, Soviet magazines and newspapers were filled with articles promoting such a narrative: "Today the poet must come forth with a battle poem... He must replace his pen with a battle weapon... Every Soviet citizen must develop the high moral qualities of a self-sacrificing patriot and fearless fighter" ("Literary Georgia," July 10, 1941) (Tskhadaia 2022: 423). Despite such calls, or perhaps because of them, most poems written on the war theme seem forced and lack the inner depth and sincerity that characterizes true poetry. Grigol Robakidze discusses the poems of prominent poets from that period (Mayakovsky, Bryusov, Mandelstam, and others), and notes that they are cold, monotonous, mechanical, and soulless. According to the author, these poems, filled with simple rhymes and rhythms, have nothing in common with true poetry.

What about Georgian war poetry? WWII particularly influenced the generation of poets from the 1930s, some of whom became victims of this war. Most of the young poets gathered around the magazine "Our Generation": Lado Asatiani, Mirza Gelovani, Giorgi Nafetvaridze, Lado Sulaberidze, Revaz Margiani, and others, did not live to reach 30 and entered Georgian literary history as those who "remained eternally young." Despite the restrictions of the "socialist realism" method that prevailed in 1932-34, they managed to renew the Georgian poetry and write with sincere, deep feeling; although Mirza Gelovani was not the only one who fought on the front-line, his war lyrics are undoubtedly outstanding in Georgian poetry, and they do not conform to the Soviet government's directives.

Rhythmic polyphony, one of the main characteristics of Mirza Gelovani's poetry is less noticeable in his war lyrics. This is partly because he had little time on the front-line to work on his poems, as he mentions in his letters to his sister, Rusudan. The Jewish-Romanian-French poet Benjamin Fondane, who died in Auschwitz in 1944, wrote that poetry was "only a cry, which should not be placed in a perfect / poem, did I have the time to finish it?" (Mounic 2015: 16).

After being drafted into the army, Mirza Gelovani also spent much less time on versification experiments, but this does not diminish his war poems; on the contrary, isosyllabic meters make them more melodic. In fact, in these verses the harmonious form opposes the disharmonious content, and the result is truly

impressive. Mirza Gelovani's war lyrics are also rich in rhetorical figures and tropes and, despite the metrical simplicity, are expressive and dynamic.

The poet expresses his readiness to face death and fight heroically; his poems even carry a certain challenge to test his bravery, but it does not overshadow the horror of the battlefield. Instead of romanticizing the war, Mirza Gelovani portrays reality unembellished - that war brings death, constant fear of losing one's life, and the destruction of our morality. War destroys individuals, and Mirza Gelovani strives with all his being to avoid such destruction. On the battlefield losing one's honour and humanity is the easiest, and preserving both becomes crucial for the poet.

Along with the pain caused by the fate of fallen comrades, Mirza Gelovani's poems also convey a sense of fatalism, and the inevitability of death. The lyrical hero often compares himself to an innocent child caught in the inferno of war: "And the flutter of deadly bullets / Stretched out like tongues of fire in the night, / ... I watched with the eyes of a child" (Gelovani 2009: 262).

While Mirza Gelovani mostly focuses on the gruesome death and suffering of soldiers, Keith Douglas writes about the fighting, fuelled by the desire for victory. The belief that truth is on his side and that he is fighting for a noble cause is driving him and giving him strength and a desire to destroy his enemies.

Keith Douglas holds a prominent place among the poets who fought in World War II. According to critic Desmond Graham, Douglas was the only one from his generation who managed to fully assimilate the poetry of Wilfred Owen and Isaac Rosenberg and base his work on their legacy. Graham considers him not only the best poet of World War II but also the best English poet of his generation, a view shared by many critics (Graham).

Keith Douglas believed that war was the most significant event of his time and that it should become the main subject of literary depiction. The poet also felt that only a soldier could write authentically about war, so, he volunteered for the army to gain combat experience. Douglas's poetry is characterized by a sharp, realistic depiction style. He effectively uses artistic imagery to create clear, vivid pictures in the reader's mind.

For Douglas, war is an ideal theme: under the shadow of death, all human masks are stripped away, leaving only the truth, but this truth kills. The poet's verses are marked by a paradoxical perception of human mortality and time. Time is both thief and donor, and man always carries death within him (Scannell 1976: 38). Death is "the ultimate enemy," but it cannot be defeated forever. Like Mirza Gelovani, Keith Douglas constantly has a premonition of his own death, which is reflected in his lyrics.

In Mirza Gelovani's poems, we do not encounter the battlefield euphoria or sense of satisfaction from killing the enemy: for him, war is unequivocally evil. The soldiers whose fates he describes could easily be from the opposing camp. Moreover, Gelovani rarely mentions the enemy in his poems directly. The latter also do not reflect the existential crisis of Yeats's lyrical hero (*The Aviator*). Although the present is wrought with senseless death and suffering, it does not diminish the value of the past and the possible future.

Confronted with the harsh reality, the poet's memories about his beloved, and the hope of returning to her and his home sustain him. Mirza Gelovani's war lyrics are dichotomous - simultaneously tender and terrifying, full of hope and despair. The poet, "with a heart as pure and vast as the sky," reveals an unquenchable thirst for life and unwavering bravery in his poems. Despite the horrors experienced on the battlefield, Gelovani does not lose his tender worldview, which characterizes his poetry.

Mirza Gelovani's war lyrics partly echo the work of European and American poets, yet they stand out with an individual style. Although most war poets died young and did not have the chance to reach the peak of their creative potential, their lyrics are marked by impressive artistic imagery. Their message does not leave the reader indifferent; instead, it deeply moves and sometimes even terrifies them.